სსკგ-ის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო იუნესკოს საქმეებთან დაკავშირებით რფ-ს კომისიის საერთო კრების მუშაობაში

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 21.12.2022. 20 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის, ს.ვ. ლავროვის თავმჯდომარეობით იუნესკოს საქმეებთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის კომისიის მორიგი საერთო კრება გაიმართა. ღონისძიება ჩატარდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ГлавУпДК-ს კულტურის ცენტრში. მასში მონაწილეობდნენ რუსეთის პროფილური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ფედერაციის სუბიექტების მეთაურები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ჩვენი ქვეყნის განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჟურნალისტიკისა და სპორტის გამოჩენილი მოღვაწენი. კრების მუშობაში მონაწილეობა მიიღო მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ.

ს.ვ. ლავროვმა წარმოადგინა მოხსენება რუსეთსა და იუნესკოს შორის თანამშრომლობის აქტუალური მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, მინისტრმა დადებით კონტექსტში მოიხსენია დეკემბრის თვეში სანკტ-პეტერბურგსა და ყაზანში ჩატარებული ფორუმები მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის 50 წლისთავთან დაკავშირებით. აღნიშნა, ასევე, მსოფლიო ჰუმანიტარულ ორგანიზაციასთან თამაშრომლობის მეტადრე პერსპექტიული მიმართულებები.

გარდა ამისა, ღონისძიების ფარგლებში მოუსმინეს თათრეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მრჩეველს, იუნესკოს კეთილი ნების ელჩს მ.შ. შაიმიევს; ბიოეთიკის საკითხებში რუსეთის კომიტეტის თავმჯდომარეს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ა.გ. ჩუჩალინს და „ევრაზიის ხალხთა ასამბლეის“ აიპის გენერალურ მდივანს ა.იუ. ბელიანინოვს.

საერთო კრებამ შეათანხმა 2023 წლისთვის კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, – ***იტყობინება*** *რუსეთის ფედერაციის სსს-ს საიტი.*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89882/